

ქართული ლიგერატურა მედიევისტიკის საერთო კონტექსტში¹

ქართულ ენაზე დაწერილი მდიდარი ლიგერატურა ჩვენამდე მოღწეული, რომელიც იქმნებოდა საუკუნეების მანძილზე, დაწყებული IV საუკუნიდან. ეს ნაწერები არის წმინდა ლიგერატურული - ლირიკული და ეპიკური, ისევე როგორც რელიგიურ-ფილოსოფიური, ისტორიოგრაფიული და იურისპრუდენციული. შუასაუკუნეების ქართული მწერლობა, ანუ ძველი ქართული მწერლობა, როგორც მას ქართულ ლიგერატურისმცოდნეობაში მიღებული პერიოდიზაციით უწოდებენ, ჩვენს წინაშე ბევრ პრობლემატურ საკითხს სვამს საკვლევად და გადასაწყვეტად.

მათგან ერთი უმთავრესთაგანია ქართული მწერლობის დასაწყისის პრობლემა. ჩვენამდე მოღწეული ლიგერატურული მემკვიდრეობისა და აშკარად მეტყველი უძველესი ცნობების თანახმად, ქართულ ენაზე საეკლესიო, ქრისტიანული მწერლობის აშკარად არსებობა სავარაუდოდ IV საუკუნიდან შეიძლება დათარიღდეს. ამავე დროს არსებობს თვალსაზრისი, რომელიც ეყრდნობა ქართულ და ბერძნულ ენებზე შემონახული ცნობების სარწმუნო ინტერპრეტაციას, რომ ქართველებს წერილობითი ძეგლები ქრისტიანობამდელ ხანაშიც უნდა ჰქონოდათ. ამ თვალსაზრისს ამყარებს ჩვენამდე მოღწეულ საისტორიო ქრონიკაში, კერძოდ XI საუკუნის ქართველი ისტორიოგრაფის ლეონტი მროველის „ქართველ მეფეთა ცხოვრებაში“, ჩართული ერთი მოზრდილი თავი – პირველი ქართული ეროვნული სახელმწიფოს, ქართლის, პირველი მეფის ფარნავაზის ცხოვრება. ეს ნაწილი ქართული ისტორიოგრაფიული თხზულებისა თავისი არქიტექტონიკით (ქრონოგრაფიული ეპიკურიდან განსხვავებული სტილით) და ლეონტი მროველის ამ თხზულებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკით (ქრონიკაში ცალკე ქვეთავებად სხვა – მზამზარეული გეგმების ჩართვით) ქართველ მეცნიერთა მიერ ამ საისტორიო თხზულებაში გადაძეგვებული სახით ჩართულ უძველეს ქართულ თხზულებადაა მიჩნეული, რომელსაც პირობითად „ფარნავაზიანს“ უწოდებენ. ამ თვალსაზრისს ამყარებს „ფარნავაზიანის“ რელიგიური ქვეგეგმა – მამლევანში; შუასაუკუნეობრივი ქრისტიანული გრანსცენდენტური სააზროვნო სტილისაგან განსხვავებით მასში აშკარად გამოხატული მითოსური მსოფლხედვა; ქრისტიანულ მწერლობაში დომინირებული ბიბლიური და აგიოგრაფიული სამწერლობო მოდელისაგან განსხვავებული საზღაპრო-სადევგმირო ნარატიული მეტყველება და უძველესი საქართველოს ადმინისტრაციული სტრუქტურის და სახელმწიფოებრივი დაყოფის სარწმუნო აღწერა.

¹ მოხსენება წაკითხულ იქნა სიმპოზიუმზე - საქართველოს ინტელექტუალური მემკვიდრეობა: ქართული ენა და ლიტერატურა საუკუნეთა სიღრმიდან - კოლუმბიის უნივერსიტეტში, ჰარიმანის ინსტიტუტში (ნიუ-იორკი, 28 აპრილი, 2008)

ზოგჯერ ქართული ლიტერატურის დასაწყისის პრობლემის გადასაწყვეტად ქართული ანბანის ფორმირების საკითხს მოიშველიებენ. ეს საკითხიც პრობლემატურია. ჩვენამდე მოღწეული უძველესი წერილობითი ძეგლები V საუკუნეს განეკუთვნება. თუმცა ახალი არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი მასალების არც თუ ურწმუნო ინტერპრეტაციით (გ. ჭილაშვილი) ზოგი ქართული პალეოგრაფიული წარწერის ფრაგმენტები I-II საუკუნეებით თარიღდება (2; 3). ამ პერიოდიდან ძველი ხელნაწერებით, ხელნაწერთა ფრაგმენტებით, თუ პალეოგრაფიული წარწერებით ათეულ ათასობით ჩვენამდე მოღწეული ქართულენოვანი ტექსტები სამი განსხვავებული შრიფტით, ასოთი ნიშნებითაა შესრულებული: მხედრული, ნუსხური და ასომთავრული, რომლებიც ერთი ქართული ანბანის – ასომთავრული ანბანის ევოლუციური სახესხვაობაა. ეს ანბანი საბოლოო სახით ჩამოყალიბებული გრაფიკული სისტემით და ასოთა რიგით უკვე V საუკუნეში არსებობს (4). მისი შექმნის თარიღად ქართველი ხალხის საისტორიო მეხსიერება და ძველ საქართველოში დამკვიდრებული ერთადერთი თვალსაზრისი ზემოთ დასახელებული პირველი ქართველი მეფის ფარნავაზის ეპოქას ასახელებს – ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის დასაწყისი.

ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლები მათში დამკვიდრებული რელიგიურ-თეოლოგიური და საღვთისმსახურებო-იურისპრუდენციული გერმინოლოგიით ერთგვარად მინიშნებენ კიდევ იმ ძველ კულტურულ შრეებს, რომელთაგანაც ქართულ სამყაროს უძველესი საზოგადოებრივი და ინტელექტუალური კონტაქტები უნდა ჰქონოდა. ამ მინიშნებებს მივყავართ როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ კულტურულ არეალებთან. უფრო კონკრეტულად: ქართულ რელიგიურ გერმინოლოგიაში შემონახულია სპარსულ-მამლუქურ კულტურულ არეალებზე მიმანიშნებელი გერმინები. ქართული უძველესი საღვთისმსახურო გერმინოლოგია ერთგვარ მინიშნებას რომაულ იურისპრუდენციასთანაც წარმოაჩენს (ე. ჭელიძე. იხ. ნ. გვ. 191-194).

ქართული სასულიერო მწერლობა, რომელიც ჩვენამდე მეგ-ნაკლებად მწყობრი სახითაა მოღწეული, უფრო ნათლად გამოავლენს შუა საუკუნეების საქართველოს ინტელექტუალურ კონტაქტებს ადრინდელი შუასაუკუნეების აღმოსავლურ ქრისტიანულ თეოლოგიურ-ლიტერატურულ სკოლებთან და მიმართულებებთან. უძველესი შრე ქართული სასულიერო მწერლობისა უშუალოდ ბერძნულენოვან ბიზანტიურ მწერლობას უკავშირდება. ამ ეტაპის ქართული ლიტერატურიდან, რომლის საწყისები IV საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იქნას მოაზრებული, უპირველეს ყოვლისა ბიბლიური წიგნების უძველესი ფრაგმენტები უნდა დასახელდეს, შესრულებული ქართული ენის ე. წ. ხანმეგრე პერიოდში, რაც შემდგომი პერიოდის (ალბათ მე-7 საუკუნის შემდგომი) ქართული ენის ნორმებთან შედარებით მზნური პრეფიქსის **ხანის** (ხ) – მეტობას ნიშნავს. ქართული ბიბლიური ტექსტის ხანმეგი ფრაგმენტები, ჩვენამდე მოღწეული პალიმფსესტური სახით და დათარიღებული VI და VII საუკუნეებით, რომლებიც უხვადაა დაცული როგორც საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ასევე ევროპის დიდ კულტურულ ცენტრებში, წინააღმდეგ უკანასკნელ დრომდე მეცნიერულ წრეებში გავრცელებული თვალსაზრისისა, ინახავენ უშუალოდ ბერძნული რედაქციებიდან მომდინარე ძველი აღქმის ბიბლიური წიგნების ორ სხვადასხვა რედაქციის ქართული თარგმანის ტექსტს (5). ასევე უშუალოდ ბერძნული ენიდან შესრულებულ თარგმანს ინახავს V საუკუნის პირველი ნახევარის თარგმანი სევერიანე გაბალას ეგზეგეტიკური თხზულებისა “ექვსთა ღღეთათვის”, რომლის ქართული თეოლოგიურ-ფილოსოფიური გერმინოლოგია მკვეთრად ემიჯნება

შემდგომ პერიოდში ჩვენში დამკვიდრებულ, სხვა კულტურულ გარემოში ჩამოყალიბებულ გერმინოლოგიას(ეჭელიძე. იხ. 6, გვ. 191-194).

ეს შემდგომი პერიოდი V საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება და აღმოსავლური ქრისტიანობის ე. წ. ანტიქალკედონიკური, მონოფიზიტური ქრისტოლოგიის წრეში ყალიბდება, რომლის ძირითადი წევრები სპარსული ქრისტიანული გარემო, სომხური და ქართული ეკლესიებია. ეს აღმოსავლური ქრისტოლოგიური უნია მკვეთრად განაპირობებს აღრინდელი ქართული ქრისტიანული მწერლობის ხასიათს, რაც ქართულ-სომხური საეკლესიო და კულტურული ურთიერთობებით იყო განპირობებული და მჭიდრო ლიგერატურული ურთიერთობებით გამოიხატა.

VII საუკუნის გასულიდან ქართული მწერლობის მიმართება ბერძნულენოვან ბიზანტიურ ლიგერატურასთან, რომელთანაც ქართულ მწერლობას არასოდეს გაუწყვეტია კავშირი, უფრო და უფრო მჭიდრო და არსებითი ხდება, რაც X საუკუნის მეორე ნახევრიდან XIII საუკუნის პირველ ნახევრამდე ქართული მწერლობის ელინიზაციის პერიოდამდე მივიდა და ქართულად ბერძნული ენიდან ბიზანტიური საეკლესიო ლიგერატურის ზოგიერთი ქანრის მეგ-ნაკლებად სრული სახით, მუსგის, თითქმის კალკირებული თარგმანების შესრულებით განვითარდა. ამ კულტურულ-ლიგერატურულ ორიენტაციას (VII-X საუკუნეები) წინ უძღვოდა ქართული ლიგერატურის მჭიდრო კულტურული კონტაქტი არაბულენოვან როგორც ქრისტიანულ, ასევე ე.წ. მეცნიერულ-ასტროლოგიურ და სამედიცინო მწერლობასთან. ამ უკანასკნელი მიმართულების წიგნების თარგმნა ქართულ ენაზე XIII საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით გრძელდებოდა.

არაბული კულტურული არეალის კვალდაკვალ ქართული ლიგერატურული აზრი თანდათანობით უფრო მეტ და მეტ ინტერესს ავლენს საერო ინტერესებისადმი, ამქვეყნიური იდეალებისადმი, რაც აძლიერებს ქართულ სამყაროში ოღითგანვე არსებულ ინტერესს სპარსული მითოსისა და ეპიკისადმი. XI საუკუნიდან დაწყებული ეს ინტერესი გამოკვეთილად ძლიერდება და XII საუკუნიდან ქართულ ლიგერატურის წიაღში ახალი ლიგერატურული მიმართულების – საერო მწერლობის ფორმირებას იწყებს, რისი საფუძველიც უპირატესად განპირობებული იყო ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის მკვეთრი შეცვლით: ძლიერი ეროვნული მონარქიის ჩამოყალიბებით, პატრონყმული სოციალური წყობის განმტკიცებით, სამხედრო და რაინდული არისტოკრატის გაძლიერებით, სამეფო კარისა და არისტოკრატის კულტურული ინტერესის საეკლესიოდან საერო იდეალებზე გადატანით (იხ. 7, გვ. 5-24).

საერო ლიგერატურის ფორმირება შუასაუკუნეების ქართულ მწერლობას ევროპული ქრისტიანული საზოგადოებრივ-ლიგერატურული აზრის პროცესის მაგისტრალურ მიმართულებასთან აახლოვებს და ევროპაში და საქართველოში ქრისტიანული ლიგერატურის ციპოლოგიურად ერთგვაროვან განვითარებაზე მიუთითებს. ეს ერთგვარი მოდელი იმ კულტურული წანამძღვრებით იყო განპირობებული, რომლებიც ასევე ერთნაირად აქტუალური იყო გვიანდელი შუასაუკუნეების როგორც ევროპული, ასევე ქართულ ინტელექტუალურ და საერო წრეებში. ესაა ქრისტიანული მსოფლმხედველობა, მაღალგანვითარებული ქრისტიანული მწერლობა, აღმოსავლური, უპირატესად არაბული

მეცნიერება, ინგერესის გადაგანა ძველი ანტიკური ბერძნული და რომაული ფილოსოფიური აზროვნებისა და ეთიკური იდეალისაკენ.

სპარსულ მწერლობაზე ორიენტირება განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა XVI-XVIII საუკუნეების ქართულ მწერლობაში. რაც გამოწვეული იყო XV საუკუნიდან ბიზანტიის სახელმწიფოს დასუსტებითა და დამხობით; მონღოლთა საუკუნოვანი დაპყრობების კვალდაკვალ ერთიანი ქართული სახელმწიფოს ევროპასთან პოლიტიკური და კულტურული კონტაქტის ჩაკეცილობით. XVII საუკუნიდან დაწყებული საქართველო დაქინებით ეძებს ახალ პოლიტიკურ და კულტურულ კავშირებს ქრისტიანულ ევროპასთან (უპირატესად რომის პაპთან და ესპანეთის ქრისტიანულ სამეფო კართან) და რუსეთთან. რაც XVIII საუკუნიდან რუსულ კულტურასთან მჭიდრო კონტაქტით განვითარდა და რუსეთის გზით ევროპული ლიგერატურული აზრის თანდათანობით დამკვიდრებაში გადაიზარდა. XIX საუკუნის ქართული მწერლობა რუსეთის ინტელექტუალური წრეების მეშვეობით საქართველოში გზას უხსნის ევროპულ ლიგერატურულ მიმართულებებს – რომანტიზმს, რეალიზმს... და ქართულ მწერლობას თანდათანობით თავიდან ჩართავს ქრისტიანული ევროპის ლიგერატურული აზროვნების პროცესში.

შუა საუკუნეებში ერის ინტელექტუალურ პოტენციალს უპირველეს ყოვლისა ამ ენაზე თარგმნილი *წმინდა წერილი* და მისი კანონიკური ინტერპრეტირების წიგნებით აფასებდნენ. ეს შუასაუკუნეების აზროვნების სპეციფიკაა: არსებითი ის იყო, თუ რამდენადაა ნაზიარები ხალხი ღვთაებრივ ჭეშმარიტებას. ძველი ქართული ნათარგმნი სასულიერო მწერლობა ძალზე მდიდარია: თითქმის სრული სახით მოღწეული *ძველი აღთქმის* სამი რედაქცია (ათონური, მცხეთური, ნაბეჭდი მოსკოვური) ფრაგმენტული სახით მოღწეული კიდევ სხვა სამი რედაქციის კვალი: ორი VI-VII საუკუნეების ხანმეტურ პალიმფსესტებში, ერთი XII საუკუნის გელათის ეგზეგეტიკურ კრებულში. ოთხი რედაქცია სახარებისა და სხვა. V-XIII საუკუნეებში შესრულებული ძველი ქართული თარგმანებით ჩვენამდე მოღწეულია ბიზანტიური სასულიერო მწერლობის თითქმის ყველა დარგის ლიგერატურა; უფრო სუსტად ბიზანტიური ისტორიოგრაფია, განსაკუთრებული სიმდიდრით აგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია. ამ წიგნების ღირებულება ღღისათვის უპირატესად მეცნიერული ხასიათისაა. ქართულ ენაზე შემონახულია აღრინდელი ბიზანტიური მწერლობის ისეთი ნიმუშები, რომელთა ბერძნული დედნები დაკარგულად ითვლება. ანდა ქართულ ენაზე დიდ წმინდა მამათა ნაწერები ხშირ შემთხვევებში დაცულია ისეთი უძველესი რედაქციებით, რომლებიც ბერძნულ ენაზე შემდგომი გადამუშავების გამო აღარაა მოღწეული. ამითაა განპირობებული ბიზანტიური ფილოლოგიისათვის ძველი ქართული თარგმნილი ლიგერატურის შესწავლის აუცილებლობა (7, გვ. 25-37).

ამ უმდიდრესი თარგმნილი ქრისტიანული ლიგერატურის წიაღში ქართულ ენაზე აღრინდელი შუასაუკუნეებიდანვე შეიქმნა დიდი ორიგინალური სასულიერო მწერლობა, რომლის ცალკეული ნიმუშები არაფრით არ ჩამოუვარდება მათი შესაბამისი ქანრის ბიზანტიური მწერლობის საუკეთესო თხზულებებს. ორიგინალური ქართული აგიოგრაფიის ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ნაწარმოებად V საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში შექმნილი „შუშანიკის წამება“ მიჩნეული. თუმცა გამოთქმულია სარწმუნო მოსაზრებები, რომ მას ჩვენამდე მოღწეულ თხზულებათაგან წინ უნდა უსწრებდეს ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს „ცხოვრება“, რაზედაც მასში მოღწეული თხზულების უძველესი პლასტები

(შრეები) მიუთითებს, და „ცხრა ყრმა კოლაელთა მარტვილობა“, რომლის ნარაგვი ანუ ამბის თხრობა, აშკარად ეფუძნება II-III საუკუნეების რომაული იმპერიის იურისპრუდენციულ აქტებს ქრისტიანობის მიმდევართა მიმართ. ორიგინალური ქართული აგიოგრაფიის რამდენიმე ნიმუში (გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ – X ს.; გიორგი ათონელის „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“, გიორგი მცირის „გიორგი ათონელის ცხოვრება“ – XI ს.), როგორც თავისი კომპოზიციით ასევე პერსონაჟთა ხასიათების ხაგვითა და ისტორიული რეალების მოხმობის მნიშვნელობით ბიზანტიური მწერლობის საუკეთესო ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს.

ბიზანტიური მწერლობის ერთი საუკეთესო ნაწილია ქართული ორიგინალური სასულიერო პოეზია ანუ ჰიმნოგრაფია. იგი სრული სახით ინარჩუნებს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის პოეტურ შთაგონებას და ამასთან ერთად მასში შეიგანს ქართულ ეროვნულ სულს, როგორც ლიტურგიკული კრებულების ქართული ორიგინალური სახის შექმნით, ასევე ქართული ნაციონალური თვითშეგნების იდეალიზაციით (იოანე მინჩხის „მარხვანი“, იოანე მოსიმეს „ქებაა და ღიღებაა ქართულისა ენისაა“, ღვთისმშობლის „გალობანი სინანულისანი“, დემეტრე მეფის „შენ ხარ ვენახი“).

საგანგებოდ ყურადსაღებია XII საუკუნის ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური მწერლობა. იგი კაპადოკიელ წმინდა მამათა (ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი...) ასკეტურ-მისტიკური და ღვთაგური თხზულებების თარგმნით იწყება, რომლებიც ჩვენამდე X საუკუნის ხელნაწერებითაა მოღწეული. გრძელდება ქართულ ენაზე XI საუკუნეში იოანე დამასკელის ღვთაგების, ნემესიოს ემესელის ანტროპოლოგიის, ფსევდო დიონისე არეოპაგელის მისტიკის შემოგანით. XII საუკუნეში ადრინდელ ნეოპლატონიკოსთა თხზულებების, მათ შორის პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიური ელემენტების“ გადმოქართულებითა და თვით არისტოტელეს ლოგიკურ-რიტორიკული გრაქტაგების თარგმნით. ქართული ფილოსოფიური მწერლობა ამ დროისათვის XII-XIII საუკუნეების ბიზანტიური და ევროპული სქოლასტიკის ღონეს შეესაბამება და იოანე პეტრიწის მიერ ორიგინალურ ქართულ ენაზე დაწერილი დიდი თხზულებით – „პროკლე დიადოხოსის თეოლოგიური ელემენტების განმარტებით“ დგას თავისი ეპოქის ევროპული განვითარებული სქოლასტიკის უმაღლესი ფილოსოფიური აზროვნების ღონეზე, რაც ევროპული ფილოსოფიის ისტორიაში შეზღუდულ რაციონალიზმებად მიჩნეული.

შუასაუკუნეების ქართული მწერლობის გენიგი მაინც მის საერო ლიტერატურაშია, რომელმაც XII საუკუნის დასასრულს ლიტერატურულად სრულყოფილი ეპიკური ფორმით და მხატვრული უნიკალურობით ქრისტიანულ მსოფლშეგრძნებაში იმგვარი ესთეტიკური და ეთიკური ფენომენი შემოიგანა, რომლის გიპოლოგიური პარალელები ევროპული ქრისტიანული ცივილიზაციის პროცესში XIII-XIV საუკუნეებიდან გამოჩნდება და რომლის შემდგომი განვითარება ევროპას რენესანსამდე მიიყვანს.

ქართული საერო ლიტერატურის პირველი ნიმუშები, თარგმნილი თუ ორიგინალური, ამ პერიოდის სპარსული და სამოგადლო აღმოსავლური ეპიკისა და საკარო პოეზიის გიპისაა („ვისრამიანი“, „ამირანდარეჯანიანი“, „თამარიანი“...). მაგრამ რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ ღონეზე აღმოსავლური ეპიკური ფორმა და ლირიკული სტილი ანტიკურ-ბერძნულ ეპიკურ ტრადიციაში მოაზრდება, ძველ ბერძნულ ფილოსოფიასა და ეთიკურ მსოფლშეგრძნებას

დაფუძნება და ქრისტიანული იდეალის ფუნდამენტზე დაფუძნდება. ეს ფენომენალური სინთეზი რუსთველის პოეზიაში არა მხოლოდ ქართული ლიტერატურული და თეოლოგიური აზროვნების უშუალო განვითარების გამოხატულებაა, არამედ ქართული ეთნოსის სპეციფიკური შტრიხების მოგაღსაკაცობრიო იდეალებამდე ამაღლების გამოვლინებაცაა.

XII საუკუნის ქართული ლიტერატურული პროცესის გიპოლოგიური მსგავსება გვიანდელი შუასაუკუნეების, ანუ როგორც ზოგი ამჯობინებს მას უწოდოს – წინარე რენესანსის, ეპოქის ევროპულ აზროვნებასთან განპირობებულია ქრისტიანული ცივილიზაციის საერთო პროცესის ერთი და იმავე ეტაპის გამოვლინებით ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთში. ქართული საზოგადოებრივი, თეოლოგიური და ლიტერატურული აზროვნების პროცესი ქრისტიანული ცივილიზაციის ამ მაგისტრალურ ხაზს მიყვებოდა. ამიტომაც, რომ XII საუკუნეში ეს პროცესი ძლიერი სახელმწიფოებრივი სტრუქტურის პირობებში მაღალი კულტურული განვითარების ქვეყნებში ერთნაირი განვითარების მიმართულებას გამოავლენს. ეს პროცესი მიმდინარეობს ბიზანტიაში, მაგრამ საერო საზოგადოებრივ აზროვნებაზე საეკლესიო სტრუქტურების და ორთოდოქსული აზრის დომინირება მას აფერხებს. ეს პროცესი იწყება XII საუკუნის ევროპის ქვეყნებშიც (იტალია, საფრანგეთი, ინგლისი...) და ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი პერიპეტიებით XIV საუკუნის გასულიდან რენესანსის აზროვნებაში გადაიბრლება. ლიტერატურული აზრის განვითარების იგივე მიმართულება მკვიდრდება XII საუკუნის საქართველოში. როგორც ევროპის ხალხთა ეროვნულ ლიტერატურებში, ასევე საქართველოში აზროვნების ამ პროცესს ერთი და იგივე წინამძღვრები აქვს: მაღალგანვითარებული ქრისტიანული მწერლობა, ანტიკური ფილოსოფიურ-ეთიკური და ანალიტიკური აზროვნების გამოცოცხლება და აღმოსავლური – ამქვეყნიური მისწრაფებებისა და გრძნობების ლიტერატურული იდეალიზაცია.

რუსთველი, ისევე როგორც უფრო მოგვიანებით გვიანდელი შუასაუკუნეების ევროპაში ამ პროცესის პირველი გამოხატულებანი – გრუბაღურები, დანგე, პეტრარკა..., მაღალი პოეტური სტილით ახალ მსოფლშეგრძნებას შემოიგანს. რომელშიაც საოცარი სინაგიფითა და ჰარმონიულობითაა ერთმანეთთან შერწყმული შუასაუკუნეობრივი და რენესანსული იდეალი, შექმნილია ოცნებისეული სამყარო, რომლის შინაარსი ღვთაებრივი ჰარმონიისა და სრულქმნილების ამქვეყნიურ სინამდვილეში მოაზრებაა: კეთილი და მოწყალე შემოქმედის მარადიულობის, სულის უკვდავებისა და გარდაცვალების შემდეგ ამ უსასრულო ღვთაებასთან შეერთების რწმენა ჰარმონიულად ერწყმის ამქვეყნიური რეალობის ფასეულობის შემეცნებას, ადამიანური სამყაროს სილამაზეში დარწმუნებას, ადამიანური გონებისადმი ნდობის გამოცხადებას, ადამიანური გრძნობისა და ემოციის გაიდევალებას.

მიჩნეულია, რომ ამ ოცნებისეული მსოფლალქმის ჩამოყალიბების ძირითადი ღერძი ღვთაებრივი სიყვარულის ამქვეყნიურ, ადამიანურ ურთიერთობებში მოაზრებაა. ეს გარდატეხა ევროპული პოეტური სიგყვის პროცესში გრუბაღურებთან ჩაისახება. მიიჩნევენ, რომ დანგესთან უკვე ამქვეყნიური, ადამიანური, ქალის სიყვარული ერთი ნაწილია ღვთაებრივი სიყვარულისა. პეტრარკასთან კი ამქვეყნიური სიყვარული ღვთაებრივი შთაგონებისაა. რუსთველის ახალი პოეტური მსოფლშეგრძნებასც იმავე გიპის – ღვთაებრივი შთაგონების მქონე ამქვეყნიურ სიყვარულს აქცევს ახალი მსოფლმხედველობის ქვაკუთხედად (8). სწორად გრძნობდა მსოფლიო ლიტერატურის პროცესის ცნობილი ინგლისელი მკვლევარი მორის ბოურა: რუსთველს *სიყვარული სახარებასავით მოაქვს* (9, გვ. 53).

შუასაუკუნეების ეს უნიკალური ლიტერატურა – ქართული ლიტერატურა თანამედროვე მედიევისტის და საზოგადო ლიტერატურათმცოდნეობის წინაშე ბევრ პრობლემას აყენებს. იგი თანამედროვე დონეზე ახალ შესწავლას და ახალი თვალთ გადააზრებას საჭიროებს. ეს გარემოება იმითაცაა განპირობებული, რომ ქართული ლიტერატურათმცოდნეობა, როგორც მეცნიერება საკმაოდ ახალგაზრდაა. იგი მეოცე საუკუნეში ჩაისახა და ამავე დროს საქართველოს ისტორიულმა ძნელბედობამ მას ცუდი მემკვიდრეობა დაუტოვა. საქართველოს ისტორიის და კერძოდ ქართული ლიტერატურის წაუკითხავი ფურცლები გარდასულ დროთა საიდუმლოებებითაა დაფარული. ამ მიმართულებით რამდენიმე სხვადასხვა ასპექტზე მინდა მივანიშნო.

ქართველ ხალხს თავისი ეროვნული მეობა საუკუნეების სიღრმეებიდან მოაქვს. ამ ხანგრძლივი ისტორიის პერიპეტიებში ძალიან ცოცხალი და ხანმოკლეა ის ეპოქები, როცა ეს ხალხი ერთი პოლიტიკური და კულტურული ერთიანობის პირობებში ცხოვრობს და მოღვაწეობს და ქართულ ეროვნულ კულტურას ქმნის. ამიტომაც ქართველთა ან ქართველური წარმოშობის მოღვაწეთა წვლილის ძიება მსოფლიოს კულტურული წარსულის სხვადასხვა გამოვლინებაში ქართველოლოგიის ერთი მიმართულებაა. ამ ტიპის ორიოდე ჰიპოთეზა:

ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიასა და თეოლოგიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს დიდ კაპადოკიელ წმინდა მამათა სახელებს – ბასილი დიდი, გრიგოლ დეთისმეტყველი, გრიგოლ ნოსელი. მათი სახელით მოღწეული და აღმოსავლეთის ძველ კულტურულ ხალხთა მრავალ ენაზე დაცული ლიტერატურული მემკვიდრეობა მათივე ბიოგრაფიის და ეროვნული მეობის ბევრ დეტალს წარმოაჩენს: ისინი არ არიან ბერძნები, უპირისპირდებიან ბერძნულ ეროვნულ ქედმაღლობას, წუხან საკუთარი ხალხის დაბეჩავებაზე და თავიანთ თავს კაპადოკიელებს უწოდებენ. კაპადოკიელებს, როგორც ეთნიკურ ერთიანობას, ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში დაკანონებული აზრი, რომელიც პირველი საუკუნიდან იღებს სათავეს *მესხებად* მიიჩნევს და ხალხთა გენეალოგიის მარკირებისას იბერიელების გვერდით მიუჩენს ადგილს. ძველი საქართველოს კულტურული ტრადიციაც კაპადოკიას მშობლიურ ქვეყნად თვლიდა. ბასილი დიდის თანამედროვე ბიოგრაფიების ბასილის მშობელი ხალხის უძველეს წარსულად ძველი კოლხეთის საკვირველ ამბებს თვლიან. ამ მონაცემებს ემყარება ერთი ჰიპოთეზა ქართველოლოგიური მეცნიერებებისა, რომელიც დიდ კაპადოკიელ წმინდა მამებს წარმოშობით ქართველურ სამყაროს უკავშირებს (7, გვ.167-191). ამ საკითხს კვლევა სჭირდება.

კიდევ ერთი, ამჯერად უფრო ცნობილი ჰიპოთეზის შესახებ. V საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში შექმნილია ქრისტიანული თეოლოგიის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი წიგნი, რომლებიც შუასაუკუნეების ტრადიციაში I საუკუნის მოღვაწე მოციქულის – დიონისე არეოპაგელის სახელით დამკვიდრდა. იგი დღეს მეცნიერებაში არეოპაგელის კორპუსის სახელით მოიხსენიება, ხოლო მის ავტორს ფსევდო დიონისე არეოპაგელი ეწოდება. ბევრი თვალსაზრისითაა გამოთქმული იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა იყოს ეს საიდუმლოებით მოცული ავტორი. ამ თეორიათა შორის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანია ამ კორპუსის ავტორად V საუკუნის ქართველი უფლისწულის პეტრე იბერის, იგივე პალესტინელი დიდი საეკლესიო მოღვაწის პეტრე მაიუმნელის მიჩნევა. თანამედროვე მედიევისტისკიაში დამკვიდრებული თვალსაზრისით ამ თეორიის დღემდე მოხმობილი არგუმენტები არაა

საკმარისი ავტორობის უცილობლად დასადგენად; მაგრამ არც ისეთი არგუმენტია გამოვლენილი, რომელიც ამ ვარაუდს მოხსნიდა. უკანასკნელი წლების ბიზანტინისტიკაში გამოქვეყნდა კაპიტალური ნაშრომი პეტრე იბერის, იმავე პეტრე მაიუმნელის ცხოვრებასა და შემოქმედებით კარიერაზე (10). ირკვევა, რომ პეტრე მაიუმნელი, დამოუკიდებლად არეოპაგიტული კორპუსის ავტორობისა, არის V საუკუნის პალესტინური ასკეტურ-მისტიკური მოღვაწეობის უდიდესი და უნიკალური ავტორიტეტის პიროვნება. ეს დიდი პრობლემა შემდგომ კვლევა-ძიებას საჭიროებს.

როგორც ზემოთ ვამბობდი, ძველი ქართული მწელობა ჩვენამდე ხელნაწერთა მდიდარი კოლექციებითაა მოღწეული. მაგრამ მოღწეული მანუსკრიპტები მხოლოდ ერთი ნაწილია იმისა, რაც ქართულ ენაზე დაწერილა. ამას პირადად ჩემი გამოცდილებაც ამტკიცებს. ამ 15-ოდე წლის წინათ მე მქონდა ბედნიერება ბრიტანეთის მუზეუმში ერთ XVI საუკუნისად მიჩნეულ ბერძნულ კრებულში (Harley - 5623) ჩაკერებული სამი ქართულ ენაზე ნაწერი ფურცელი აღმომეჩინა. ისინი ფრაგმენტებია XI საუკუნის დღეისათვის დაკარგული ორი ქართული ხელნაწერისა, რომლებიც ათონის ქართული საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ ცენტრში უნდა დაწერილიყო. ერთი მათგანი (Harley - 5623, 256 r-v) დიდი ქართველი მოღვაწის წმინდა მამის გიორგი ათონელის ავტოგრაფი უნდა იყოს (11). 1998 წელს ათონის მთის ქართულ მონასტერში – ივირონში ჩემი მოკლესნიანი ყოფნისას მე ვნახე ათობით ქართული ხელნაწერი და წიგნი და ასობით სხვადასხვა ხელნაწერის ფურცელი, რომლებიც ათონის კოლექციის ქართულ ხელნაწერთა არც ერთ აღწერილობაში არაა შეგანილი, რამდენადაც ისინი თურმე ივირონის ხელნაწერთა მცველ მწიგნობარ ბერს ბერძნულ ხელნაწერებში შერეული ფურცლებიდან და უცნობი წიგნებიდან გამოეკრება. მე მხოლოდ ერთი მათგანის აღწერა და იდენტიფიცირება მოვახერხე. იგი აღმოჩნდა იოანე ოქროპირის ლიგურგის – ქამისწირვის ქართველ მეცნიერთათვის უცნობი თარგმანი, სავარაუდოდ XI საუკუნის ხელნაწერით.

არა მარტო ყველა ქართული ხელნაწერების ბედია ჩვენთვის უცნობი, არამედ თვით ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშთა გავრცელების ისტორიული პერიპეტიებია დაუდგენელი. ერთი შემთხვევა ისევ ჩემი უკანასკნელი ათწლეულის მოღვაწეობიდან. ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში მიჩნეულია, რომ შუასაუკუნეების ქართულ მწერლობას ლათინურ სამყაროსთან კონტაქტი უნდა ჰქონოდა, მაგრამ კონკრეტულად ამ კონტაქტზე მიმანიშნებელი არც ერთი ფაქტი არ ჩანდა. XIV საუკუნის დასაწყისის სამ ლათინურ ხელნაწერში (პარიზი, ნაციონალური ბიბლიოთეკის: graecus 1251; 1252; მილანი, წმ. ამბროსის ბიბლიოთეკის: graecus 253) დაცულია XIII საუკუნის ლათინური კრებული – „რწმენის საუნჯე“ – Thesaurus fidei, რომელშიც შეგანილია XI საუკუნის ორიგინალური ქართული აგიოგრაფიული თხზულების „გიორგი ათონელის ცხოვრების“ ერთი დიდი ქვეთავის ბერძნული და ლათინური თარგმანები, ამსახველი გიორგი ათონელის სიგყვისა ბიზანტიის საიმპერატორო კარზე ბერძნულ-რომაული საეკლესიო კონფლიქტის თაობაზე.

ასე რომ, ქართული ლიტერატურის ბევრი უცნობი ფურცელია გამოსავლენი უპირატესად სწორედ უცხოეთის დიდ წიგნთსაცავებში და სამეცნიერო ცენტრებში.

ახლა ორიოდე სიგყვა ქართული ლიტერატურის უშუალო კონტაქტზე ევროპულ ცივილიზაციასთან. ამ მხრივაც ქართველოლოგიური მეცნიერება ვალშია თავისი დიდი

კულტურული მემკვიდრეობის წინაშე. ბევრი რამ არის დასასაბუთებელი და არგუმენტირებულად წარსადგენი მედიევისგთა, ბიზანტინისგთა და სამოგადოდ ევროპული ცივილიზაციის მკვლევართა წინაშე ბევრი რამ არის აღმოსაჩენი და გამოსავლინებელი. აქაც მოკლედ მოგახსენებთ მხოლოდ ორიოდ საკითხზე (12).

გვიანდელი შუასაუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა XI საუკუნეში ბერძნულიდან ლათინურ ენაზე ორგმის თარგმნილი სასულიერო მიმართულების ბელეგრისკული თხზულება, რომელიც მეცნიერებაში “ვარლაამის და იოასაფის რომანის” სახელით დამკვიდრდა. იგალიურ ენაზე მისი 9 თარგმანი თუ გადამუშავება შესრულდა, 8 – ფრანგულ ენაზე, 6 – ესპანურზე. იგი გვიანდელ შუასაუკუნეებში ლათინურიდან თარგმნილია ევროპის თითქმის ყველა ენაზე; სლავურად და ძველ რუსულ ენაზე – საკუთრივ ბერძნულიდან სამჯერ. პოპულარობის ამ ილუსტრირებას ისიც შეიძლება დავამატო, რომ ძველ რუსულ ხელნაწერთაგან რიცხობრივად ყველაზე მეტი “ვარლაამ და იოასაფის ამბის” ძველი რუსული თარგმანია და იგი სრული თუ ფრაგმენტული სახით 1000-ს უახლოვდება. ამ თხზულების ლათინური ტექსტის პირველი გამომცემლები, გვიანდელი შუასაუკუნეების დასასრულიდანვე, მას დიდი ბიზანტიელი მწერლის იოანე დამასკელის ავტორობით აქვეყნებენ, რაც თხზულების ხელნაწერთა გრადიციას ემყარება. თუმცა ეს გრადიცია საკმაოდ გვიანდელია და იგი ხელნაწერთა ერთადერთი ვარიანტი არაა თხზულების აგრიბუციისა. ამ თხზულების ავტორობის პრობლემის პირველმა შემსწავლელმა ფრანგმა მეცნიერმა **ზოტენბერგმა** კატეგორიულად უარყო იოანე დამასკელისადმი მისი მიკუთვნების შესაძლებლობა. ვარლაამ და იოასაფის ბერძნული რომანის ავტორია X-XI საუკუნეების მიჯნის დიდი ქართველი მთარგმნელი, ათონის ბერძნული საბერძნობანო კორპორაციის სულიერი მოძღვარი, ივირონის მონასტრის წინამძღვარი, ბერძნული და ქართული ორთოდოქსული ეკლესიების წმინდა მამა ეფთვიმე ათონელი. ამას პირდაპირ მიუთითებს თხზულების რამდენიმე ბერძნული ხელნაწერი. ამაზე არაორამროვნად წერს თხზულების ბერძნულიდან ლათინურად მთარგმნელი 1048 წლის ხელნაწერის შესავალშივე. ამაზე უშუალოდ მეტყველებს ეფთვიმე ათონელის ბიოგრაფი წმინდა გიორგი ათონელი მის მიერ 1042-44 წლებში დაწერილ აგიოგრაფიულ თხზულებაში “იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრება”. ინდოეთიდან მომდინარე სანსკრიტულ ჩანაწერებში დადასტურებული ბუდას ცხოვრების ამბავი ლიტერატურულად გადამუშავებული საშუალო სპარსულის გზით არაბულ ენაზე უნდა გადასულიყო. არაბულად IX-X საუკუნეებში შეიქმნა ამ თხზულების ვრცელი მაჰმადიანური ვერსია; რომლის მიხედვითაც X საუკუნეში ორი ქართულენოვანი ქრისტიანული გადამუშავება ჩამოყალიბდა. ამ ქართულ რედაქციას იმდროინდელი აგიოგრაფიული სტილის – მეტაფრასტიკის კვალობაზე, გავრცობისა და გადაკეთების მეთოდით, X საუკუნის დამლევს შუასაუკუნეების ბრწყინვალე სასულიერო რომანად ბერძნულ ენაზე გადაამუშავებს ეფთვიმე ათონელი. თხზულების ჩვენამდე მოღწეული სამი ძველი რეცენზიის არაბულის, ქართულის და ბერძნულის ერთმანეთთან ფილოლოგიური შეჯერება ცხადად მეტყველებს, რომ ბერძნულ რეცენზიაში არაფერი არ არის ისეთი, რაც ქართულში არ არის და არაბულშია. ამავე დროს განსხვავებები, რომლებსაც ქართული და არაბული რეცენზიები ერთმანეთთან მიმართებებში წარმოაჩენენ ბერძნულ რეცენზიაში ქართული ვარიანტითაა გადასული (13). კიდევ ერთი ცნობა ამ თხზულების ღირებულებაზე ბიზანტიური ლიტერატურისთვის: მისი ერთ-ერთი ევროპელი მკვლევარი ცნობილი ფრანგი ბიზანტიისტი ანრი გრეგუარი ამბობდა: რომ შეიძლებოდა ბიზანტიური მწერლობის

თანამედროვე მეცნიერების პოზიციიდან შეფასება, ნობელის პრემია ვარლამ და იოასაფის ბერძნული რომანის ავტორს ეკუთვნისო. და ეს ავტორი მისი ამრითაც შუასაუკუნეების ქართული ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელი ეფთვიმე ათონელია.

კიდევ ერთი, ამჯერად მეცნიერების ფართო წრეებისათვის უცნობი, სულ ახლახან გამოვლენილი ფაქტის შესახებ.

როგორც ზემოთ ვსაუბრობდით, ქართული ლიტერატურულ-ფილოსოფიური ამროვნების მწვერვალი - რუსთველი გიპოლოგიურად გვიანდელი შუასაუკუნეების ევროპულის მსგავს მსოფლშეგრძნებას შემოიგანს ქრისტიანული ცივილიზაციის პროცესში და ეს ხდება უფრო ადრე, ვიდრე დიდი იგალიელები ამ საოცნებო იდეალებს უშუალოდ მიიგანენ რენესანსის ეპოქის კარიბჭემდე. ნუთუ მართლაც ასეთი მძიმე იყო განგების განაჩენი, რომ ეპოქის ეს ახალი სიგყვა ქართულ ენაში ჩამარხულიყო, რომ მისთვის ევროპულ ინგელექტუალთა თვალს არ დაეხედა?! რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში დამკვიდრებული ამრით, „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსი მისი სათაური და ავტორის სახელი ევროპულ ენებზე პირველად რუსულად XIX საუკუნის დასაწყისში გამოცემულ ერთ წიგნში (Евгений Болховитинов, Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном её состоянии, СПб 1802) გამოჩნდა. მეორე მხრივ, არის საინტერესო, მაგრამ დაუმტკიცებელი და ამდენად საეჭვო ცნობა, რომ რუსთველის ერთი ლექსი, სხვა ქართველ პოეტთა უცნობ ლექსებთან ერთად თვით შუა საუკუნეებშივე უნდა ყოფილიყო თარგმნილი არაბულად.

სულ ახლახან, უკანასკნელ წელს მე მქონდა ბედნიერება ქართული და ევროპული სამეცნიერო წრეებისთვის მიმეწოდებინა ახალი ამრი. რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის გადამუშავებით პიესა იღმება შექსპირის თეატრში შექსპირის სიცოცხლეშივე და იგი მთელი საუკუნის მანძილზე არ ჩამოდის ინგლისის სამეფო თეატრის სცენიდან. ეს პიესაა შექსპირის თანამედროვეების, მისი უშუალო მემკვიდრეების ინგლისის სამეფო თეატრის მთავარი დრამატურგის პოსტზე ფრანსის ბომონგისა და ჯონ ფლეტჩერის „მეფე და არა მეფე“, რომელსაც ბომონგისა და ფლეტჩერის გრაგიკომედიების სტილის ჩამოყალიბების პროცესში უმთავრეს გარდამტეხ ეტაპად თვლიან; რომლის სიუჟეტის წყარო ინლისური ლიტერატურის ისტორიკოსთათვის უცნობია, რაც თავისთავად არაბუნებრივად ჩანს ბომონგისა და ფლეტჩერის და საზოგადოდ ამ პერიოდის ევროპული ლიტერატურისა და კერძოდ ინგლისური დრამატურგიისათვის მიღებული სტილის ფონზე. ბომონგი და ფლეტჩერი ამ პიესის ამბის ძირითად ქარგას, რომელსაც ისინი იბერიის სამეფო კარის ამბავს უწოდებენ, „ვეფხისტყაოსნის“ ნესგანისა და გარიელის სიყვარულის ისტორიიდან იღებენ, მას გადაამუშავენ, სიგუაციებს შეცვლიან გრაგიკომედიის საკუთარი სტილის თაობაზე. არც მხოლოდ ისეა, რომ მათ პიესაში „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სიყვარულის შორეული, გაგონილი თუ არა უშუალო გზით მოგანილი ამბის მოდულაციასთან გექონდეს საქმე. პიესაში ავტორთა მიერ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის უშუალო ცოდნა ჩანს (14). საიდან?

ამ კითხვით მინდა დავამთავრო ჩემი დღევანდელი მოხსენება. საიდან? სად? როდის? როგორ? - ეს ის კითხვებია, რომლებსაც ალბათ ყველაზე ხშირად მოიხმობს შუასაუკუნეების ქართული ლიტერატურის მკვლევარი, რომელიც შეეცდება ამ დიადი მწერლობის ძირითადი ნიშანსეგები ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში გაიაზროს.

ყველაფერი ეს კი ერთი უმთავრესი სტიმულია იმისა, რომ ქართული ლიტერატურა საერთაშორისო ფილოლოგიური კვლევის აქტიური ობიექტი გახდეს და მისი პრობლემატიკის თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი პრინციპებით კვლევა დიდ საერთაშორისო ინტელექტუალურ ცენტრებშიც დაიწყოს.

ლიტერატურა :

1. "The Life of Parnavaz: The Oldest Georgian Literary Source" (Georgian-English parallel texts. Translated with introductory notes by Arrian Tchanturia). In: "The Kartvelologist" №7, Tbilisi 2000.
2. **L. Chilashvili**, A Pre-Christian Georgian Inscription from Nekresi. In: "The Kartvelologist", №7, Tbilisi 2000.
3. **L. Chilashvili**, An Inscription on the Rim of a Wine Jar from Nekresi. In: "The Kartvelologist", №8, Tbilisi 2001.
4. **Th. V. Gamkrelidze**, Alphabetic writing and the Old Georgian Script. Delmar, New York 1994.
5. **A. Kharanauli**, *Khanmeti* Fragments of the Old Testament and the Problems of the Descent of the Georgian Bible. In: "The Kartvelologist", №11, Tbilisi 2004.
6. "Georgian Literature in European Scholarship", edited by **E. Khintibidze**. Amsterdam 2001.
7. **E. Khintibidze**, Georgian-Byzantine Literary Contacts. Amsterdam 1996.
8. **E. Khintibidze**, Rustaveli, Dante, Petrarca. Reinterpretation of Love from the Middle Ages to the Renaissance. In: "The Kartvelologist", №11, Tbilisi 2004.
9. **M. Bowra**, Inspiration and Poetry. London 1955.
10. **C. B. Horn**, Asceticism and Christological Controversy in Fifth-century Palestine. The Career of Peter of Iberian. Oxford University Press 2006.
11. **E. Khintibidze**, Fragments of Two Unknown 11th-century Georgian Manuscripts in a Greek Codex. In: "Orientalia Christiana Periodica", Roma 1998.
12. **E. Khintibidze**, An Example of Georgian-Greek-Latin Literary Relationship in a 13th - century Latin Collection. In: "Христианский восток", т.3. Moscow 2002.
13. **E. Khintibidze**, Concerning The Relationship of the Georgian and Greek Versions of *Barlaam and Ioasaph*. Paris 1976 (Supplement to vol. XXIV of "Revue de Kartvéologie").

- 14. E. Khintibidze,** The Trace of Rustaveli's *The Man in the Panther's Skin* in Shakespeare's Theatre (Early 17th century). In: "Bulletin of the Georgian National Academy of Sciences", I, № 4, Tbilisi 2007.